სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/09

(ოქმი N13)

ქ. ბათუმი 31 აგვისტო 2022 წ

ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2022 წლის 31 აგვისტოს N02-19/2150 წერილის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, და 2022 წლის 31 აგვისტოს N02-19/2150 წერილში გათვალისწინებული პირობებით, გააფორმოს ხელშეკრულება მიმდინარე წლის ბოლომდე 75 გადაცემის მომზადების მიზნით, შპს ,,ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლითიქალ ინსაით - BPI''-სთან, ღირებულებით 163 500 (ას სამოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი